საგანმანათლებლო დაწესებულებისდასახელება	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივესიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქიმიის მაგისტრი
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	120 კრედიტი. სასწავლო კურსები 90 (მათ შორის საერთო კურსები–30, არჩევითი მოდულები –50, თავისუფალი კომპონენტები– 10), ხოლო სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი. (1 კრედიტი–25 საათი). სასწავლო კურსების ლოგიკური თანმიმდევრობის დაცვით, სემესტრში მაგისტრანტი გაივლის 30 კრედიტს, წელიწადში - 60 კრედიტს.
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ➢ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; ➢ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ➢ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) - B2 დონე და სპეციალობა; ➢ მობილობის წესით (შიდა/გარე) ჩარიცხვა; ➢ უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
საგანმანათლებლ ოპროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და უზრუნველყოფს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზარზე ორიენტირებული სპეციალისტის მომზადებას და დემოკრატიული პრინციპების, ლიბერალური ღირებულებების მქონე თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, პროგრამის მიზანია მაგისტრანტისათვის ქიმიის მიმართულებით ღრმა და სისტემური თეორიული ცოდნის მიცემა. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ–ჩვევების ჩამოყალიბება, მეცნიერების უახლესი მიღწევებისა და არსებული გამოცდილების გამოყენების უნარის, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით ქიმიური ექსპერიმენტის დამოუკიდებლად ჩატარების, მიღებული შედეგების დამუშავების, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის უნარების ჩამოყალიბება.

სწავლის შედეგები	მაგისტრს აქვს დარგის ძირითადი მიმართულებების- არაორგანული, ბიოორგანული, ფიზიკური და ანალიზური ქიმიის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს ახალი იდეების შემუშავების საშუალებას. კრიტიკულად გააზრებული და გაცნობიერებული აქვს სპეციალიზაციით ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა. გამომუშავებული აქვს ექსპერიმენტული სამუშაოს დამოუკიდებლად დაგეგმვის, უსაფრთხოდ ჩატარების და განხორციელების უნარ– ჩვევები. შეუძლია: ქიმიური ექსპერიმენტის მიმდინარეობაზე დაკვირვება, მონაცემების შეგროვება, ცდომილების მათემატიკური დამუშავება, შედეგების გაანალიზება, ლოგიკური მსჯელობა და დასკვნების გამოტანა; კვლევის უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით რთული და არასრული ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი და სინთეზი, ქიმიური პროცესების მსვლელობის წინასწარი პროგნოზირება; საზოგადოების წინაშე კვლევის შედეგების წარდგენა; თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება ქიმიური კვლევისა და ექსპერიმენტის შედეგების დამუშავება– გაანალიზების დროს. ქიმიური ექსპერიმენტის შედეგების წერილობითი და ზეპირი ფორმით პროექტის და სხვა დავალებების მომზადება და ინფორმაციის წარდგენა საზოგადოების წინაშე აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით; კრიტიკულად აფასებს საკუთარ ცოდნას, აცნობიერებს აღნიშნული მიმართულებით სწავლის პროცესის სპეციფიკას, შემდგომი სწავლის გაგრძელების საჭიროებას და ცოდნის განახლების აუცილებლობას; შეუძლია სწავლის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა. აფასებს საკუთარ და სხვების პროფესიულ სრულყოფას, პასუხისმგებლობის გრძნობას, მაღალ საუნივერსიტეტო კულტურასა და ერუდიციას; მიღებული დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების პრაქტიკულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.
საკონტაქტო პირი	პროგრამის ხელმძღვანელი: მაია ვანიძე, ასოცირებული პროფესორი ტელეფონი: (+995) 599 18 23 22; (+995) 577 73 55 44 ელ-ფოსტა: maia.vanidze@bsu.edu.ge